



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №154/17

-- -- 2017 წლის 08 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №154/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის წარმოდგენის დროისათვის -- სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს არ გადასცემია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 21 დეკემბერს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს -- -- და -- -- მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უარის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის

23 სექტემბრის №-- დადგენილების და 2015 წლის 23 სექტემბრის №-- დადგენილების ბათილად ცნობა. ასევე, მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენებით სახლის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის უზრუნველყოფის დავალდებულება (ქუჩის მხრიდან მზიდი კედლის და ეზოს მხრიდან ორი მზიდი ხის სვეტის აღდგენა-გამაგრებით).

-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- და -- -- სარჩელი მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად; საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმული იქნა -- --; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 და 448-ე მუხლებით დადგენილი წესით დაიწყო საქმის მომზადება და მხარეს გადაეგზავნა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები; შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრათ 07 (შვიდი) დღე; საქმეზე დაინიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 19 თებერვალს, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით.

2016 წლის 05 იანვარს -- საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და საქმეში მესამე პირად ჩართვა მოითხოვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა -- -- შესაგებელი -- საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 18 თებერვალს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2016 წლის 19 თებერვალს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს შესაგებლები გადაეცა 19 თებერვლის სასამართლო სხდომაზე.

2016 წლის 18 თებერვალს, -- -- მტკიცებულებათა დართვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) - -- -- შუამდგომლობა საქმეში მე-3 პირად ჩართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 05 თვემდე.

მესამე პირმა -- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 07 აპრილის სასამართლო სხდომაზე.

2016 წლის 03 მაისს, მტკიცებულებათა დართვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 29 დეკემბრის №-- ბრძანება „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 23 სექტემბრის №-- დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №-- (№--) დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ“ და 2015 წლის 23 სექტემბრის №-- დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 05 მაისის №-- (№--) და 2015 წლის 10 მარტის №-- (№--) დადგენილებების ბათილად ცნობის შესახებ“; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

2016 წლის 06 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა 06 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის, მისი აუდიო ჩანაწერისა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გადაცემა.

2016 წლის 12 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა 2016 წლის 06 ივლისის წერილით მოთხოვნილი მასალების დროულად გადაცემის უზრუნველყოფა.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის -- -- მიერ -- -- გაეგზავნა -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, 06 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი და CD დისკი.

2016 წლის 14 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მოთხოვნით მიმართა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2016 წლის 20 ივლისს და 26 ივლისს ჩაბარდათ. -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 04 აგვისტოს, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 05 აგვისტოს, -- და -- -- 05 აგვისტოს, ხოლო -- -- 08 აგვისტოს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 01 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) ადმინისტრაციულ საქმეზე №-- საქმის განხილვა დაინიშნა 2016 წლის 15 ნოემბერს 15:00 საათზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე მ-- --) აპელანტ -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე დაკმაყოფილდა; საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 14 მარტის სხდომის თაობაზე მესამე პირს - -- -- უწყება გაეგზავნა 2016 წლის 19 დეკემბერს.

2017 წლის 14 მარტს -- სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- წარმომადგენელმა -- -- და ითხოვა საქმის განხილვის გადადება იმ საფუძველით, რომ -- ჩანიშნული ჰქონდა სხდომა რომელზეც წარმოადგენდა ერთ-ერთ მხარეს. ამასთან, ქ. -- ჩანიშნული სხდომის თაობაზე მარწმუნებელს ეცნობა 2017 წლის 06 თებერვალს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) აპელანტების - -- --, -- --, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის და -- -- სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება მხარეებს გაეგზავნა 2017 წლის 28 სექტემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 17 ოქტომბერს, -- და -- -- 2017 წლის 19 ოქტომბერს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2017 წლის 20 ოქტომბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 03 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე--) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული -- და -- --, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით (მოსამართლეები - - -- --, -- --, -- --,) -- და -- --, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩეს -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივნისის განჩინება.

2.2. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა - 421 საქმე, დაასრულა 307 საქმე (72.0 %).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს.

სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Golder c. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ §§40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (see also *Vermeulen v. Belgium*, § 34; *Lobo Machado v. Portugal*, § 32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ” (*Diennet v. France*, § 33); „მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ” (*Martinie v. France [GC]*, § 39)).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის განჩინება მხარეებს გაეგზავნა 2017 წლის 28 სექტემბერს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 2 თვისა და 17 დღის შემდეგ, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა 2 თვე და 17 დღე არ წარმოადგენს იმ სახის ვადის დარღვევას, რომლისთვისაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეულ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება. ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან. ამდენად, ამ შემთხვევაში მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ფუნდამენტური უფლება.

შესაბამისად, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება ბრალეულად მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №154/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**